THE NEWSPAPER "KAVKAZ" ABOUT LUDWIK MIEROSLAWSKY

გაზეთი „КАВКАЗ"-ი ლუდვიკ მეროსლავსკის შესახებ[1]

KAKHABER SURGULADZE
Doctor of History, Professor
of Batumi Shota Rustaveli State University
N35 E. Ninoshvili st. Batumi, Georgia
ORCID:0000-0002-6008-8396
kakhaber.surguladze@bsu.edu.ge
+995 599 30 91 91

Abstract. The national-liberation uprising of the Poles of 1863-1864 directed against the domination of the Russian Empire left a mark on the public consciousness of small nations with its tragedy. Interest in the uprising was also increased by the fact that in the national policy of the Russian Empire, the "topic of Poland" was considered the most difficult issue.

The subject of the Polish uprising of 1863-1864 was recorded in the periodical press published in Georgia (Tbilisi and Kutaisi provinces), where the main source of information dissemination was the political-literary newspaper "Kavkaz". On the one hand, it was the official body of the government of the country, which was spread through the other provinces of the Caucasus that lack such bodies too. On the other hand, the newspaper had the rights of private publishing and its own company, although it enjoyed the support of the government.

In "Kavkaz", we don't read about Katkov's theoretical discussions on the rebellion, or as to the attempt carried out by I. Chavchavadze sending a correspondent to Poland and studying the real picture on the ground. The content of the topic of rebellion on the pages of "Kavkaz" echoed the public opinion in the Russian Empire and the materials of the official press. The newspaper presents the image of the uprising as violent actions for the Polish people despite the good will from the Empire and the normal situation in general. Obviously, the goal of the editorial board with the narrative of the interests of the Empire was to eliminate the confidence of other small nations living on the territory of Russia to the rebellion and in this respect the newspaper achieved results.

Ludwik Mieroslavsky (1814-1878), the leader of the uprising, was an "incidental" person for "Kavkaz". His unsuccessful leadership continued for 22 days, that's why the newspaper talked about him in three issues of the newspaper in a negative context. "Kavkaz" mentioned Mieroslavsky while reporting the skirmish between the rebels and regular army units in Kzhivoson forest. It is difficult to agree with "Kavkaz" in the assessment of Mieroslavsky, because the goal of the editors is to belittle his military skills, try to emphasize his disagreement with the revolutionary committee, or the distrust of him on the part of the Polish people. The newspaper denigrates him in his personal qualities as well, as if he ran to the Prussian border immediately after the first shot was fired, etc. The editorial board did not try to find real information about Mieroslavsky's activities, thus not allowing the reader to create his real portrait. The fact is, this was not even included in the editorial plans. All the material of "Kavkaz" about Mieroslavsky was a repetition of the narrative of the Russian press. However, Mieroslavsky, who was called "Polish Napoleon", was considered a highly rated politician.

[1] წინამდებარე კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (FR-22-9832).

He was one of the prominent figures of the Polish emigration, who had a rich biography. He was a general, writer and poet, military theoretician and activist fighting for independence, inventor, etc.

Key words: Uprising of the Poles; "Kavkaz" newspaper; insurgents; Ludwik Mieroslavsky.

კახაბერ სურგულაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
საქართველო, ბათუმი, ე. ნინოშვილის ქ. N35
ORCID:0000-0002-6008-8396
kakhaber.surguladze@bsu.edu.ge
+995 599 30 91 91

აბსტრაქტი. რუსეთის იმპერიის ბატონობის წინააღმდეგ მიმართული 1863-1864 წლების პოლონელების ეროვნულ-განმათავისუფლებელმა აჯანყებამ თავისი ტრაგიზმით კვალი დატოვა მცირე ერების საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. აჯანყების მიმართ ინტერესს ის ფაქტიც ზრდიდა, რომ რუსეთის იმპერიის ნაციონალურ პოლიტიკაში „პოლონეთის თემა“ ყველაზე რთულ საკითხად ითვლებოდა.

პოლონეთის 1863-1864 წლების აჯანყების თემატიკა დაფიქსირდა საქართველოში (ტფილისის და ქუთაისის გუბერნია) გამომავალ პერიოდულ პრესაში, სადაც ინფორმაციის გავრცელების ძირითადი წყარო იყო პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი „Кавказ“-ი. იგი ერთი მხრივ იყო მხარის მმართველობის ოფიციალური ორგანო, რომელიც კანონით კავკასიის გუბერნიასა და იმ მხარეში, სადაც საგუბერნიო განცხადებები არ გამოიცემოდა მათ ცვლიდა. მეორე მხრივ, გაზეთი არსებობდა კერძო გამოცემის და საკუთარ სახსრების უფლებებით, თუმცა სარგებლობდა ხელისუფლების მხარდაჭერით.

„Кавказ“-ში არ გვხდება აჯანყების თაობაზე მ. კატკოვისეული (1817-1887) თეორიული მსჯელობები, ანდა ი. ჭავავაძის (1837-1907) მსგავსად პოლონეთში კორესპოდენტის გაგზავნის და ადგილზე რეალური სურათის შესწავლის ცდა. „Кавказ“-ის ფურცლებზე აჯანყების თემატიკის შინაარსი რუსეთის იმპერიაში არსებული საზოგადოებრივი აზრის და სახელისუფლო პრესის მასალების გამოძახილი იყო. აჯანყების სურათს გაზეთი ისე წარმოდგენს, თითქოს ნორმალური ვითარებიდან, იმპერიისგან კეთილი ნების მიუხედავად, მეამბოხეები დაქსაქსული მოქმედებებით პოლონელი ხალხისთვის და ზოგადად ქვეყნისთვის საზიანო საქმეს აკეთებდნენ. ცხადია, იმპერიის ინტერესის გამომხატველი ნარატივით რედკოლეგიის მიზანი იყო რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა მცირერიცხოვან ერებში აჯანყების მიმართ ნდობის გაქარწყლება და ამ მხრივ გაზეთმა შედეგსაც მიაღწია.

აჯანყების საწყის ეტაპზე ხელმძღვანელი ლუდვიკ მეროსლავსკი (1814-1878) „Кавказ“-ისთვის „შემთხვევითი“ პირია. მისი წარუმატებელი ხელმძღვანელობა 22 დღეს გაგრძელდა, ამიტომაც გაზეთმა მასზე მხოლოდ სამი ნომერში ისაუბრა უარყოფით კონტექსტში. ძირითადში მეროსლავსკის შესახებ „Кавказ“-ი კჟივოსონის ტყეში აჯანყებულებსა და რეგულარული არმიის რაზმებს შორის შეტაკების თაობისას საუბრისას. საერთოდ ძნელია დაეთანხმო „Кавказ“-ს მეროსლავსკის შეფასებაში, რადგან რედაქცია მიზანია დააკნინოს მისი მხედრმთავრული უნარები, ცდი-

ლობს ხაზი გაუსვას უთანხმოებას რევოლუციურ კომიტეტთან, ანდა მისდამი უნდობლობას პოლონელი ხალხის მხრიდან. გაზეთი მას აკნინებს პირადულ თვისებებშიც, რომელიც თითქოს სხვა ემიგრანტებთან ერთად, პირველი გასროლისთანავე პრუსიის საზღვრისკენ გაიქცა და ა.შ. რედკოლეგია არ ცდილობდა მეროსლავსკის საქმიანობის შესახებ რეალური ინფორმაციის ძიებას, რათა მკითხველისთვის შექმნას მისი სრული პორტრეტი. ფაქტია, ეს არ შედიოდა რედაქციის გეგმებში. მეროსლავსკის შესახებ „Кавказ"-ის ყველა მასალა რუსული პრესის ნარატივის განმეორება იყო. არადა, „პოლონელ ნაპოლეონად" წოდებული მეროსლავსკი მაღალი რეიტინგის მქონე პოლიტოკოსად მიიჩნეობა. იგი პოლონური ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა გახლდათ, რომელსაც შთამბეჭდავი ბიოგრაფია ჰქონდა, რამდენადაც იყო გენერალი, მწერალი და პოეტი, სამხედრო თეორეტიკოსი, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი აქტივისტი, გამომგონებელი და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: პოლონელების აჯანყება; გაზეთი „Кавказ"-ი; ინსურგენტები; ლუდვიკ მეროსლავსკი.

შესავალი

1863-1864 წლებში რუსეთის იმპერიის ბატონობის წინააღმდეგ მიმართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყება მიზნად ისახავდა პოლონეთის სუვერენიტეტის აღდგენას. თავისი შინაარსით და ტრაგიზმით აჯანყებამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა რუსეთის იმპერიის უღელქვეშ მყოფი მცირე ერების საზოგადოებრივ ცნობიერებასა და ევროპის სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური ძალების და სოციალური ჯგუფების ცხოვრებაში. აჯანყების მიმართ ინტერესს ის ფაქტიც ზრდიდა, რომ რუსეთის იმპერიის ნაციონალურ პოლიტიკაში „პოლონეთის თემა" ყველაზე რთულ საკითხად ითვლებოდა.

წინამდებარე სტატიის მიზანია კავკასიაში გამომავალ გაზეთ „Кавказ"-ის ფურცლებზე პოლონეთში 1863-1864 წლებში მიმდინარე აჯანყების საწყის ეტაპზე ხელმძღვანელის - ლუდვიკ მეროსლავსკის შესახებ რედაქციის პოზიციის წარმოჩენა. მიგვაჩნია, რომ „Кавказ"-ით შესაძლებელია ვაჩვენოთ არამარტო ინსურგენტების ხელმძღვანელის მიმართ სარედაქციო შეფასებები, არამედ გავსაზღვროთ აჯანყებისადმი რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დამოკიდებულება და პრესის როლი მეამბოხე პოლონელების მიმართ კავკასიაში საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საქმეში. პოლონელების 1863-1864 წლების აჯანყება თავისი სპეციფიკის გამო ყოველთვის არის მკვლევართა ყურადღების საგანი. მიგვაჩნია, რომ „Кавказ"-ის ფურცლებზე წარმოდგენილი ლუდვიკ მეროსლავსკის 22 დღიანი ხელმძღვანელობის შეფასების ჩვენება „იანვრის აჯანყების" ისტორიის შესწავლის საქმეში სიახლეს შეიტანს.

მეთოდები

ნაშრომი დაიწერა წყაროების და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემების შეჯერების საფუძველზე. გაზეთი „Кавказ"-ი დამუშავდა სამეცნიერო და სპეციალური-სამეცნიერო მეთოდებით. დედუქციის მეთოდით მოხდა ზოგადიდან კონკრეტულამდე ახალი ცოდნის მიიღება. დიალექტიკურ ერთიანობაში კომპლექსურად და სისტემურად გამოყენებული მეთოდებით მოხდა დროსა და სივრცეში საისტორიო პროცესების და ადამიანების საქმიანობის განხილვა. სო-

ციოლოგიური მეთოდებით განისაზღვრა კონკრეტული სოციალური სისტემების ფუნქციონირება, რითაც განხორციელდა ურთიერთკავშირების მექანიზმების და პროცესების კვლევა. სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიით განისაზღვრა ფაქტების შეგროვების ინსტრუმენტები.

კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველია ისტორიზმის და ობიექტურობის პრინციპი. მეთოდების და მეთოდოლოგიის კომბინაცია საშუალებას გვაძლევს რეალურად წარმოვაჩინოთ გაზეთ „Кавказ"-ის პოზიცია „იანვრის აჯანყების" საწყის ეტაპზე ინსურგენტების ერთ-ერთი ხელმძვანელის ლუდვიკ მეროსლავსკის შესახებ.

შედეგები და დისკუსია

გაზეთ „Кавказ"-ის ფურცლებზე პოლონეთის 1863-1864 წლების აჯანყების თემატიკის შინაარსი რუსეთის იმპერიაში არსებული საზოგადოებრივი აზრის და პერიოდული პრესის მასალების გამოზახილი იყო. შევნიშნავთ, რომ აჯანყების მიმართ იმპერიის მასშტაბით პოლიტიკური ძალებისა და სოციალური ჯგუფების მხრიდან არაერთგვარი დამოკიდებულება გამოვლინდა. თავდაპირველად, პოლონელების აჯანყების მიმართ, რუსეთის სახელისუფლო და ოპოზიციურ გამოცემებში შეინიშნებოდა გაურკვევლობა ან თანაგრძნობაც კი [Твардовская, 1978:27]. ზოგი რუსი პოპულისტი „შენი და ჩვენი თავისუფლებისთვის" ლოზუნგით თანაუგრძნობდა პოლონელების აჯანყებას [Машковцев, 2014:25], ანდა ე.წ. „ყაზანის შეთქმულების" ჯგუფის მსგავსად ცდილობდნენ მის გადმოტანას რუსეთის შიდა გუბერნიაში [Лейкина-Свирская, 1960:423-449] და ა.შ. ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, იმპერიის მოსახლეობის უმრავლესობა, აჯანყებას უარყოფითად შეხვდა იგი პოლონური ნაციონალიზმის და სეპარატიზმის გამოვლინებად მონათლა. მსგავსი პოზიციის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ოფიციალურმა პრესამ, რომელიც მიკერძოებით აშუქებდა იმპერიის დასავლეთ რეგიონებში განვითარებულ მოვლენებს [Машковцев, 2014:25].

„პოლონეთის თემა" დაფიქსირდა საქართველოში (ტფილისის და ქუთაისის გუბერნია) გამომავალ პერიოდულ პრესაში. საქართველო, რომელიც პოლონეთის მსგავსად რუსეთის იმპერიის კოლონიას წარმოადგენდა, აჯანყების შესახებ ინფორმაცია ვრცელდებოდა პერიოდული პრესის („Кавказ"…) მეშვეობით [კამკამიძე, 2013:12], რუსეთის იმპერიის ქალაქებში არსებული ე.წ. ქართული სათვისტომოების, რუსული ინტელიგენციის პროგრესულ ნაწილის და სავარაუდოდ, საქართველოში გადმოსახლებული პოლონელებისგან [Surguladze, 2023:114]. შევნიშნავთ, რომ მიუხედავად XIX ს-ის 60-იან წლებში ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში მოწინავე აზროვნების გავრცელებისა, ვიტყვით, რომ იმ მომენტისთვის ქართული საზოგადოება მზად არ იყო პოლონეთის დამოუკიდებლობის საკითხის მიმართ თეორიული მსჯელობის შესახებ. ქართულ ცნობიერებაში „პოლონეთის თემის" წამოწევა ილია ჭავჭავაძის დამსახურებაა, თუმცა იგი ცალკე საუბრის თემაა [სურგულაძე, 2024:323-330].

საქართველოში პოლონეთის აჯანყების შესახებ ინფორმაციის გავრცელების ძირითადი წყარო იყო გაზეთი „Кавказ". საერთოდ, კავკასიაში მოქმედი პრესა ძირითადში თავმოყრილი იყო ქ. თბილისში, რომელიც ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა. იქვე ფუნქციონირებდა კავკასიის საცენზურო კომიტეტი, რომელიც თვალს ადევნებდა პერიოდული გამოცემების პოლიტიკურ მიმართულებას და იცავდა ხელისუფლების საშინაო პოლიტიკის პრიორიტეტებს [მალაზონია, 2002-2003:89; Лучинский..., 2021:196]. „Кавказ"-ი 1846 წელს კავკასიის მეფისნაცვლის მ.

ვორონცოვის (1844-1854) ინიციატივით დაარსდა. გაზეთი ერთი მხრივ იყო მხარის მმართველობის ოფიციალური ორგანო, რომელიც კანონით კავკასიის გუბერნიებსა და იმ მხარეში, სადაც საგუბერნიო განცხადებები არ გამოიცემოდა მათ ცვლიდა. მეორე მხრივ, იგი არსებობდა კერძო გამოცემის და საკუთარ სახსრების უფლებებით, თუმცა სარგებლობდა ხელისუფლების მხარდაჭერით. „Кавказ"-ის პოპულარობის მაჩვენებელი იყო მისი გავრცელების ტირაჟი. მაგ., 1900 წლისთვის იგი 2300 ეგზემპლარს აღწევდა [Лучинский..., 2021:196]. რედკოლეგიის განაცხადით გაზეთი პოლიტიკურ-ლიტერატურული ორგანო იყო და „განზრახული ჰქონდათ რეგიონში გაევრცელებინათ სასარგებლო ინფორმაცია და თანამედროვე სიახლეები... რუსეთისთვის გაეცნოთ კავკასიის რეგიონში მცხოვრები ტომების ცხოვრების თავისებურებები, ზნე-ჩვეულებები და ა.შ." [Кавказ, 1901, №1:7]. მართალია გაზეთით ამიერკავკასიის მცხოვრებლები ეცნობოდნენ რუსეთის იმპერიის შიდა პროცესებს და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს [კამკამიძე, 2013:12], ეს ცხადია, მაგრამ რეალობაში, „Кавказ"-ის მეშვეობით რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა იმპერიის შემადგენლობაში კავკასიის ინტეგრირებას და რუსიფიცირებას.

ისტორიოგრაფიაში არის მცდელობა „Кавказ"-ის პროგრესულობის [Лучинский…, 2019:309] და ობიექტურობის [კამკამიძე, 2013:13] დასაბუთებისა, მაგრამ პოლონელების აჯანყების და სხვა ანტიიმპერიული მოძრაობების მაგალითზე ჩანს, რომ ეს სინამდვილეს არ შეესაბმება. მართალია, „Кавказ"-ში იბეჭდებოდა პოლონეთის აჯანყებასთან დაკავშირებული ინფორმაციები, მაგრამ ნებისმიერი მასალა შინაარსით მეორეხარისხოვანი იყო და იმპერიის ხელისუფლების ინტერესებში მყოფი გაზეთების ანარეკლს წარმოადგენდა. „Кавказ"-ში არ გვხდება „პოლონეთის თემის" გარშემო მ. კატკოვისეული თეორიული მსჯელობები [Тесля, 2011:86-97; Гронский, 2023:45-62; Иаковлев..., 2013:116-120]. ასევე არ არის ი. ჭავავაძის მსგავსად პოლონეთში კორესპოდენტის გაგზავნის და ადგილზე რელური სურათის შესწავლის ცდა [სურგულაძე, 2024:323-330]. გაზეთი არ საუბარობს **„პოლონეთის სამეფოში"** არსებულ სოციალურ და ეროვნული პრობლემების შესახებ, აჯანყების მიზეზებზე, ინსურგენტების მხრიდან წარმატებულ ბრძოლებზე და სხვა საკითხებზე. აჯანყების სურათს გაზეთი ისე წარმოდგენს, თითქოს ნორმალური ვითარებიდან, იმპერიისგან კეთილი ნების მიუხედავად, მეამბოხეები დაქსაქსული მოქმედებებით პოლონელი ხალხისთვის და ქვეყნისთვის საზიანო საქმეს აკეთებდნენ. ცხადია, იმპერიის ინტერესის გამომხატველი გაზეთის რედკოლეგიის მიზანი იყო რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა მცირერიცხოვან ერებში აჯანყების მიმართ ნდობის გაქარწყლება. იგი უნდა ყოფილიყო ყველასთვის გაფრთხილება - ხელისუფლების წინააღმდეგ ნებისმიერი გამოსვლის მარცხით დამთავრების შესახებ [კამკამიძე, 2013:149]. შევნიშნავთ, რომ ამ მხრივ გაზეთმა შედეგსაც მიაღწია. მაშასადამე, „Кавказ"-ის მიზანი იყო საშინაო და საგარეო თემებზე კავკასიის მოსახლეობისთვის ხელისუფლებისთვის მისაღები ინფორმაციების მიწოდება. ჩვენს პოზიციას ამაგრებს პოლონეთის აჯანყების მიმართ გაზეთში გამოქვეყნებული კორესპოდენციები. ცხადია, „Кавказ"-ს ჰყავდა ქართველი და არაქართველი მკითხველი, რომლებიც მის სულისკვეთებას იზიარებდა. ზოგადად, პრესას, როდესაც ქვეყანაში არ არსებობდა ინფორმაციის ალტერნატიული წყარო, მოსახლეობაზე გავლენის მოხდენის საქმეში მნიშვნელოვანი ძალა ჰქონდა.

შევნიშნავთ, რომ 1863-1864 წლების გაზ. „Кавказ"-ის ნომრები პოლონეთში მიმდინარე მოვლენებს დაეთმო - იქნებოდა აჯანყების თემის თუ სამეფოს ხელმძღვანელი პირების საქმიანობის

მიმოხილვა. საკითხისადმი რედკოლეგიის ინტერესის მანიშნებელია ის ფაქტი, რომ სტატიები გაზეთში ცალკე სვეტში [კამკამიძე, 2013:14] - „ცნობები რუსეთიდან“, კორესპოდენციების სახით იყო წარმოდგენილი, რითაც იგი ცხადდებოდა იმპერიის საშინაო საკითხად. კორესპონდენციები უავტოროა, ანდა აქვს სხვადასხვა ინიციალები: „Русск. Инв.“, „Спв. Почта“, „С'пв. В.“ და ა.შ. ამ ინიციალებით რთულია კორესპოდენციის რეალური წყაროს ანდა ავტორის დადგენა და ა.შ. კორესპონდენციების სხვადასხვა ინიციალების გამოქვეყნება ჟურნალისტიკაში მიღებული პრაქტიკაა. იგი შესაძლებელია ყოფილიყო ამონარიდი სხვა პრესიდან (მაგ., „Русский инвалид“), ან საცენზური კომიტეტი მიერ შედგენილი ტექსტი, ანდა რედკოლეგიის მიერ შედგენილი ტროლი. „Кавказ“-ში თითქოს გვხვდება ამონარიდები ევროპული გაზეთებიდან (Le Mond…), მაგრამ ჩვენი დაკვირვებით, „პოლონური თემის“ გარშემო ყველა ინფორმაცია რუსული პრესის მასალების კალკირებას წარმოადგენდა.

აჯანყების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირება „Кавказ“-მა 27 იანვრის (№8, 1863) პუბლიკაციით დაიწყო, რომელიც 6-12 იანვრის მოვლენების ინფორმაციას წარმოადგენდა. რედკოლეგიამ აჯანყება ცალსახად - „ამბოხად“ შეაფასა. აჯანყების თობაზე ინფორმაცია გაზეთის მეოთხე გვერდზე იყო განთავსებული, რითაც ხაზი გაესვა მის არააქტუალობას. პოლონეთის სამეფოს ოფიციალურ გაზეთზე (სახელწოდება მითითებული არ არის - ავტ.) დაყრდნობით „Кавказ“-ი იუწყებოდა, რომ „უწესრიგობის პარტიამ“ საიდუმლო გზით გადაუგზავნა მიმართვები მაზრების ხელმძღვანელებს, ბურგომისტრებს და თემის პოლიციის უფროსებს, რათა მათ არ გაეწიათ ორგანიზება 3(15) იანვარს დანიშნულ სარეკრუტო შეკრების თაობაზე. გაზეთის ცნობით, რეკრუტირებულებს წინააღმდეობბა არც გაუწევიათ და „სიამოვნებით დაემორჩილნენ ჩინოვნიკების მოთხოვნებს“ [Кавказ, 1863, №8:4]. რეკრუტირება მარკიზ ა. ვიელოპოლსკის (1803-1877) მხრიდან სარისკო ნაბიჯს წარმოადგენდა და ამ ქმედებით იგი ცდილობდა რადიკალებისთვის სოციალური ბაზის წართმევას. შესაბამისად, აჯანყების თავიდან აცილებას (Коско, 2021, გვ. 71). რეალობაში იმპერატორისადმი გაგზავნილ მეფისნაცვლის სტატისტიკაში იანვრის მიწურულისთვის 8 ათასის ნაცვლად მხოლოდ 2400 კონსკრიპრი იყო დაფიქსირებული, რაც სარეკრუტი გაწვევის ჩაშლას ნიშნავდა [Айрапетов, 2013:44].

იმავე ნომერში „Кавказ“-ი შეეხო პოლონეთის სამეფოს სხვადასხვა რეგიონებში 10-11 იანვარს ინსურგენტების წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლებს, რომლებიდან, გაზეთის შენიშვნით, მწვავე იყო ბლოპის ტყეში და ქ. პლოცკში მიმდინარე შეტაკებები [Кавказ, 1863, №8:4]. რედაქცია საუბრობს სხვადასხვა ადგილებში აყვანილ ტყვეებზე. თუმცა, გვერდს უვლის საუბარს ციოლკოვოს დასახლებაში ინსურგენტების ბრწყინვალე გამარჯვებაზე პოლკოვნიკ კოზლიანოვის რაზმზე. თვით პოლკოვნიკის მკვლელობა გაზეთში სხვათა შორის კონტექსტში იყო ნახსენები [იქვე]. არადა, ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ სწორედ ციოლკოვოს ბრძოლით დაიწყო 1863-1864 წლების აჯანყება.

მეორეხარისხოვან რუსულ წყაროებზე დაყრდნობით „Кавказ“-ი მკითხველს უხატავს ემიგრანტ ინსურგენტების პოლონეთში შემოსვლის სურათს. გაზეთის მიხედვით, პირველი ჯგუფი - 70 მოხალისეს შემადგენლობით, პოლონეთში, პრუსიის მხრიდან, დობრჟინიდან (გოლიუბ-დობჟინი - ავტ.) 16 იანვარის ღამით ჩასულა. დიდი და მცირე ჯგუფებით მათი შემოსვლა 21 იანვრამდე მიმდინარეობდა. გაზეთის ცნობით, იმავდროულად, პოზნანის საჰერცოგოდან, დაახლ. 500 მოხალისემ გადმოლახა საზღვარი. რედაქციის შენიშვნით, „...ეს მღელვარება

გამოწვეული იყო მეროსლავსკის მოსვლის ცნობით“ [Кавказ, 1863, №20:3]. „Кавказ“-ი აღწერს აჯანყების მეთაურის მეროსლავსკის პოლონეთში ჩამოსვლის მარშრუტს. რედაქცია შენიშნავდა, რომ მეროსლავსკი „მოგზაურობდა ფრანგული გვარით, ფრანგული პასპორტით და, როგორც შამპანიის ერთი ცნობილი სავაჭრო სახლის წევრი მოგზაური-გამყიდველი. მან მოიპარსა დიდი წვერი, ისე რომ ვერავინ ცნობდა“ [იქვე]. გაზეთი წერდა, რომ 14 თებერვალს მეროსლავსკი იყო ბერლინში, ხოლო 15-ში ინოვრაცლში, სადაც „ახლობლების წრეში შესანიშნავი დრო გაატარა... 17-ში დილის 6 საათზე გადალახა პოლონეთის საზღვარი და... 18 თებერვალს პლოცკის გუბერნიაში ინსურგენტების ყველა რაზმის ხელმძღვანელობა ჩაიბარა“ [იქვე].

„Кавказ“-ში მეროსლავსკის შესახებ ინფორმაციებს თვალს თუ გავადევნებთ, ვნახავთ, რომ იგი რედაქციისთვის „შემთხვევითი“ პირია. გაზეთი არ ცდილობდა მასზე და მის ადრინდელ საქმიანობებზე ინფორმაციების ძიებას. მკითხველისადმი მიწოდებული სარედაქციო მასალა კი არ იძლეოდა აჯანყების ხელმძღვანელის შესახებ რეალური პორტრეტის შექმნის საშუალებას. პრინციპში, ეს არ შედიოდა „Кавказ“-ის გეგმებში. მეროსლავსკის შესახებ ყველა მასალა რუსული პრესის ნარატივის განმეორება იყო. არადა, „პოლონელ ნაპოლეონად“ წოდებული ლუდვიკ მეროსლავსკი (1814-1878) მაღალი რეიტინგის მქონე პოლიტიკოსად მიიჩნეოდა. იგი პოლონური ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა გახლდათ, რომელსაც შთამბეჭდავი ბიოგრაფია ჰქონდა. იყო გენერალი, მწერალი და პოეტი, სამხედრო თეორეტიკოსი, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი აქტივისტი, გამომგონებელი და ა.შ. 1833 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ მეროსლავსკი საფრანგეთში ცხოვრობდა, სადაც სამხედრო თეორეტიკოსის რეპუტაცია მოიპოვა. ახლობლობდა ჯ. მაზინისთან (1805-1872), მოიაზრებოდა დაგეგმილი 1846 წლის პოლონეთის აჯანყების მეთაურად [Zbiorowa, 1994:156], 1848 წელს მონაწილეობდა პოზნანის აჯანყებაში, ჯ. გარიბალდის (1807-1882) ვიზირებით იყო ნეაპოლში საერთაშორისო ლეგიონის მეთაური, 1861 წელს გენუაში პოლონურ-იტალიური სამხედრო სკოლის დირექტორი და ა.შ. მეროსლავსკის ყოველთვის ჰქონდა მისწრაფება ერთპიროვნულად ემართა პოლონეთი და ამიტომაც იგი ყველა გზით შეეცადა, რომ აჯანყებამდე გამოეცხადებინათ მთავარსარდლათ, ამ შემთვევაში დიქტატორად. ვინაიდან პოლონეთის აჯანყება კონსპირაციულად მოამზადა „ეროვნულმა ცენტრალურმა კომიტეტმა“ (KCN), რომელიც 1863 წლის 22 იანვარს დროებით „ეროვნულ მთავრობად“ (TRN), ხოლო მაისიდან კი „ეროვნულ მთავრობად“ (RN) გადაკეთდა. საომარი ოპერაციების წარმოებისთვის, აჯანყების დაწყებამდე, კომიტეტმა სწორედ ლუდვიკ მეროსლავსკი აირჩია აჯანყების მეთაურად. იგი პოლონეთში არალეგალურად 17 თებერვალს ჩავიდა [Garlicki, 1998:116].

პოლონეთში ჩასულ მეროსლავსკის ამალაში, „Кавказ“-ის ცნობით, იყო „სხვადასხვა ერის და რევოლუციის წარმომადგენლები“, რომელთაგან რედაქციამ ყურადღება მიაქცია „ვიღაც ორ იტალიელს“ [Кавказ, 1863, №21:3]. გაზეთი იუწყებოდა, რომ 18 თებერვალს მთავარსარდალმა „ამბოხებულებს პროკლამაციით აცნობა პოლონეთში ჩასვლის და სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობის შესახებ“ [Кавказ, 1863, №17:4]. მის შესახებ რედაქცია წერდა: „რევოლუციურ კომიტეტთან სირთულეები, რომლებიც მონაწილეობაში უშლიდა, უკვე აღმოფხვრილია“. რედკოლეგიის ცნობით, მეროსლავსკი იმთავითვე დიქტატორის უფლებების მომხრე ყოფილა, მაგრამ გაზეთის შენიშვნით „პოლონელებს ჰქონდათ გონიერება არ გამოევლინათ ნდობა საეჭვო სამხედრო ნიჭის მქონესთან“. ამასთან, „Кавказ“-ი განმარტავდა: „რადგან ადგილზე პარტიზანული ომი მიდის,

ყოველივე შეესაბამება მის გადახრებს და მისწრაფებებს, დათამხდნენ მისთვის მიეცათ საბჭოს კონტროლ ქვეშა ხელმძღვანელობა“ [Кавказ, 1863, №17:4]. რეალობაში მეროსლავსკის დიქტატორად დანიშვნის წინააღმდეგი კომიტეტში იყო მხოლოდ ს. ბობროვსკი (1840-1863), რომელიც მას „სიამაყესა და არაკომპეტენტურობაში ადანაშაულებდა“ [Garlicki, 1998:116].

საერთოდ, „Кавказ“-ისთვის დამახასიათებელი იყო მეროსლავსკის და აჯანყების სხვა ხელმძღვანელი პირების დაკნინება. აქ იგი ეყრდნობა იმპერიის სამხედრო სამინისტროს ოფიციალურ ორგანოს - „Русский инвалид“-ს. გაზეთის მიხედვით, ემიგრაციიდან პოლონეთში დაბრუნებულ მეროსლავსკის სოფ. დობრეში კჟივოსონის ტყესთან მემამულის სახლში დაბანაკდა. რედაქციის ცნობით, ტყესთან და დაბა სლუბცეში მას მოწყობილი ჰქონდა ინსურგენტების ბანაკი, თითოეული 1000 კაცის ოდენობით [Кавказ, 1863, №21:4]. გაზეთის მიხედვთ, „პირველივე გასროლისთანავე“ მეროსლავსკი გაიქცა დასთან სოფ. პლავიცში. აქ გაზეთი თარიღებს ურევს. ინფორმაციის მიხედვით, სოფ. ტროიაჩკში, მან ჩაიბარა სლუბცედან ჩამოსული ინსურგენტების რაზმი, მაგრამ რეგულარული ჯარის მოახლოებისთანავე იგი შტაბით და აღალით საზღვარგარეთ გაიქცა [იქვე]. ასე ახასიათებდა გაზეთი მთავარსარდალს, თუმცა მას სიახლედ მიაჩნდა „მეროსლავსკის ბრბოს“ მხრიდან ბრძოლისთვის ორიგინალური სამხედრო შენაერთის შექმნა. „Кавказ“-ის მიხედვით მსროლელთა რიგებს ისინი საკმაოდ სწორად აგებდნენ და ისე აგზავნიდნენ ბრძოლაში. კაზაკების მხრიდან შეტევისას, ისინი გადაეწყობოდნენ სამრიგიან კარედ. მოხერხებული ადგილის მიუხედავად, გაზეთის მიხედვით მათ „ვერ გაუძლეს ვერცერთ შეტევას, ვერსად ვერ ახერხებდნენ წინააღმდეგობის გაწევას. ამის მიზეზი იყო არა სიმამაცის და ენერგიის ნაკლებობა, მიუხედავად ჩვენს მიერ შტუცერებიდან ცეცხლის გახსნისა, ჩვენს ჯარებს მეამბოხეები ზოგან 30 ნაბიჯზე მიუახლოვდნენ, არამედ უპირველეს ყოვლისა იარაღის ნაკლებობა. ორივე ბრბოს დიდი ნაწილი შეიარაღებული იყო ცულებით, თოფები ჰქონდა მხოლოდ მსროლელთა ჯაჭვს. თოფები უპირატესად ორლულიანია, რომელთაგან ერთი კუთხვილიანი ლულით, ხოლო მეორე იყო უბრალო... მეამბოხეების დიდი ნაწილი ჩაცმულია ცუდათ, იმ ტანსაცმელში, რითაც მათ დატოვეს სახლი [იქვე]. „Кавказ“-ი შენიშვნით, კჟივოსონის ბანაკში ნაპოვნი იყო მეამბოხეთა გამოგონება - „უცნაური მანქანა..., რომელიც განკუთვნილი იყო ჩვენი კოლონების დამარცხებისთვის. მანქანა შესდგებოდა კვადრატული ხის ძარისგან, რომლის ყოველი მხარის სიგრძე 2 საჟენი იყო. ძარა დადგმულია ორ ბორბალზე და მასზე მიკეთებული იყო ხელნა. ძარის ყოველ მხარეს ჩასმული იყო ბასრი ცელები“ [იქვე].

3 მარტს „Кавказ“-მა მკითხველს ფრაგმენტული ინფორმაცია მიაწოდა კვლავ 7(19) თებერვალს კჟივოსონის ტყეში აჯანყებულებსა და რეგულარული არმიის რაზმებს შორის შეტაკების თაობაზე. რედკოლეგიის ცნობით: „პოლკოვნიკი შილდერ-შულდნერი (ი. შილდერ-შულდნერი, 1816-1878 - ავტ.)... როძიევიდან სამხრეთით საზღვრისკენ აგრძელებდა მეროსლავსკის ბრბოს დევნას და ტბა გოპლოსთან მას მძიმე დარტყმა მიაყენა. დაიღუპა 100, ხოლო ტყვედ ჩავარდა 30-ზე მეტი მეამბოხე“ [Кавказ, 1863, №18:4]. 7 მარტს გაზეთი კვლავ დაუბრუნდა კჟივოსონის ტყეში მიმდინარე ბრძოლის თემას. მისი ცნობით: 6 თებერვალს 600 მეამბოხის წინააღმდეგ ვროცლავიდან, მაზრის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, აჯანყებულების წინააღმდეგ გაიგზავნა რაზმი, რომელსაც „კჟივოსონის ტყეში მეამბოხეებმა თოფებიდან მათ ცეცხლი გაუხსნეს. მჭიდრო მასად შეკრული მეამბოხეები შეტევაზე გადავიდნენ, მაგრამ მსროლელთა ცეცხლმა 200 ნაბიჯზე ახლოს არ მოუშვა. ძლიერი დანაკარგით ისინი უკუიქცნენ“ [Кавказ, 1863, №19:4]. გაზეთი

ჩამოთვლის მეამბოხეების დანაკარგებს, მაგრამ მკითხველის ყურადღებას ამახვილებს ფაქტზე - „შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ განადგურებული იყო ბრბოს მთავარი წინამძღოლი მეროსლავსკი, მასთან იყო ბევრი სხვა ემიგრანტი, რომლებიც პირველი გასროლისთანავე პრუსიის საზღვრისკენ გაიქცნენ“ [იქვე].

„Кавказ“-ი ასევე ეხება 9(21) თებერვალს ნოვა ვიეს (იგივე ტროიაჩეკი - ავტ.) ბრძოლას, რომელიც კჟივოსონის ტყეში მიმდინარე შეტაკების გაგრძელება იყო. გაზეთის ცნობით, სოფ. ტროიაჩეკთან „იკრიბება 1000 მეამბოხე, რომლებსაც ხელმძღვანელობდა მეროსლავსკი... სოფელში შესვლისას ჩვენი რაზმი ცეცხლით შეხვდა სახლებს ამოფარებულ მეამბოხეებს, რომლებიც სოფლიდან გამოაძევეს. ბრბო გაიქცა ტომისლავიცკში, ხოლო შემდეგ როშჩენიცკის ტყეში“. გაზეთი შენიშნავდა, რომ მეროსლავსკი გეგმავდა ნიშავის საბაზო ცენტრად გადაქცევას, საიდანაც განახორციელებდა ვროცლავზე თავდასხმა. რედაქციისთვის მთავარი ნიუსის ბოლო აკორდი იყო - უკან დაბრუნებულ ჯართან შესახვედრათ „ახლო სოფლების მცხოვრებლები გამოდიოდნენ და ისინი კმაყოფილი იყვნენ მეამბოხეებისგან განთავისუფლებით“ [Кавказ, 1863, №19:5].

დედაქალაქში გამომავალ პრესაზე დაყრდნობით „Кавказ“-ი შეეხო პოლონეთის აჯანყების თაობაზე მეროსლავსკისეულ გეგმებზე, რომელიც მას 1862 წელს გამოცემულ ბროშურაში ჰქონდა წარმოდგენილი. რედაქციის შენიშვნით: „საკმარისია მრავალმხრივად მნიშვნელოვან დოკუმენტს გადახედო, რომ მის საფუძველზე აუცილებელი ყველა ზომების და გადაწყვეტილებების მიღება, აჯანყება არასდროს მოხდება“, რომ იგი „სავსებით გამოუსადეგარია გადამწყვეტი წუთისთვის“ [Кавказ, 1863, №20:2]. გაზეთი მიანიშნებდა ხელისუფლების მხრიდან დაგვიანებულ რეაქციებს, მეროსლავსკის გარდა იგი ჩამოთვლის სხვა ავტორების (მოხნაცკი, შტოლცმანი...) ნაშრომებსაც, „რომლებშიც გარემოებითი სიზუსტეებით გადმოცემული იყო პოლონელი რევოლუციონერების ჩანაფიქრი“ [იქვე]. რედკოლეგია დასძენდა, რომ მათში განმარტებული იყო „...საერთო სტრატეგიული შეხედულებები, ტაქტიკური წესები... ინსურგენტებისთვის მაკიაველისეული რჩევები, უბედურობიდან გამოძრობა. დაბოლოს, რუსეთზე ბრალდებები“ [იქვე:3]. გაზეთი დასძენდა: „შესაძლოა შეთქმულების გეგმები ცნობილი იყო, მაგრამ უცნობი იყო რომელ წუთში ისინი ფიქრობდნენ მოეყვანათ მოქმედებაში“ [იქვე]. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში რედაქცია მართალიც იყო. საქმე იმაშია, რომ ლიტერატურაშიც შენიშნულია, რომ რევოლუციური შინაარსის ბროშურები მარტივად ვრცელდებოდა პოლონურ ქალაქებში, რაზეც ხელისუფლება არ რეაგირებდა [Старикова, 2024:98-99].

14 მარტის ნიუსში, გერმანულ პრესაზე დაყრდნობით „Кавказ“-ი წერდა, რომ „დამარცხებული ინსურგენტები უწესრიგო ჯგუფებით პრუსიის საზღვრისკენ გაიქცნენ ვრეშას და ვიტკოვის მხარის... ნაწილი კი ოპლოს ტბის გავლით“ [Кавказ, 1863, 21:5]. რაც შეეხება მეროსლავსკის, რედაქცია წერდა, რომ მას თანამოაზრეებთან „მოუვიდა ცხარე კამათი საზღვრის მეორე მხარეს შემხვედრ მეამბოხეთა რაზმის მეთაურთან“ [იქვე]. გაზეთის მიხედვით. მეროსლავსკიმ „ლანძღვით გამოთქვა უკმაყოფილება, რომ საქმის მდგომარეობა მას ყალბი ფორმით წარმოუდგინეს, რადგან მან ვერ ნახა ხალხი, ვერც იარაღი და ფული“ [იქვე]. რედაქცია დასძენდა, რომ „მეორე ბრბოს წინამძღოლმა“, პრუსიელმა მემამულემ კ. მელეცკიმ (1836-1863) განუცხადა, რომ მას არ ენდობოდა და იგი მხოლოდ ვნებდა საქმე. მელეცკიმ მეროსლავსკის მეგობრული რჩევა მისცა - „დაბრუნებულიყო საიდანაც მოვიდა“. გაზეთის ცნობით. საყვედურმა და პირად

შეურაცხყოფამ „მეროსლავსკი გაცოფდა“, მან „დააგდო წინამძღოლის კვერთხი, ჭოგრი, ხელთ არსებული ბრძოლის გეგმები. იგი ამბობდა, რომ არ შეუძლია გამკლავება თვითნება შლიახტასთან და მოღალატე ქსენძებთან“ (კათოლიკე მღვდელი - ავტ.). „Кавказ“-ი შენიშნავდა, რომ პოზნანის მხარის მემამულეები მზად არიან მხარი დაუჭირონ „აჯანყებას ხალხით, იარაღით და ფულით, მაგრამ ბელადად არ უნდათ მეროსლავსკი და არასდროს დაემორჩილებიან ასეთ შარლატანს“ [იქვე].

არსებითად, კჟივოსონის ტყეში და ნოვა ვიესთან ბრძოლებში განცდილმა მარცხმა წერტილი დაუსვა მეროსლავსკის 22 დღიან დიქტატორობის პერიოდს. პარტიზანული ომის რეალობასთან გამოწვეული პრობლემების გამო და ე.წ. „თეთრების“ დაწოლით მან უარი თქვა თანამდებობაზე. 11 მარტს იგი ჩაანაცვლა მ. ლანგევიჩმა (1827-1887). „Кавказ“-ი არ ცდილობს მკითხველის გარკვევას მეროსლავსკის გადადგომის გარემოებებზე. იგი მისთვის „შემთხვევითი პირი“ იყო და ასედაც დარჩა. მაშასადამე, რედაქციისთვის აღარც საინტერესო ფიგურა იყო.

დასკვნა

დასასრულ, ვიტყვით, რომ „Кавказ“-ის მხრიდან 1963-1864 წლების პოლონეთის აჯანყების მიმართ საგაზეთო ცნობები იმეორებდა რუსეთის იმპერიის სახელისუფლებო პრესის ნარატივებს. რედკოლეგიას არ ჰქონდა მცდელობა გარკვეულიყო აჯანყების მიზეზებში და გარემოებებში. გაზეთში არ გვხდება „პოლონეთის თემის“ გარშემო თეორიული მსჯელობები. ასევე მას არ ჰქონდა მცდელობა პოლონეთში გაეგზავნათ კორესპოდენტი და ადგილზე შეესწავლათ ვითარება.

გაზეთში აჯანყების შესახებ ფაქტები ისეა წარმოდგენილი, თითქოს იმპერიიდან კეთილი ნების მიუხედავად, მეამბოხეები პოლონელი ხალხისთვის საზიანო საქმეს აკეთებდნენ. იმპერიის არმია რედაქციისთვის მაღალი იდეალების მქონე საჯარისო შენაერთია. ორმაგი სტანდარტის პოლიტიკით იმპერიის ინტერესის გამომხატველი რედკოლეგია ცდილობს რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მცირერიცხოვან ერებში აჯანყების მიმართ უნდობლობის დანერგვას და უნდა ვთქვათ, რომ მან მიზანს მიაღწია.

უარყოფით კონტექსტში საუბრობს „Кавказ“-ი აჯანყების საწყის ეტაპზე მყოფ ინსურგენტების მეთაურ ლუდვიკ მეროსლავსკის შესახებ. არადა, „პოლონელ ნაპოლეონად“ წოდებული მეროსლავსკი პოლონური ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა იყო, რომელსაც XIX ს-ის 30-40-იან წლებში ევროპაში მიმდინარე რევოლუციებში მონაწილეობის გამოცდილებაც ჰქონდა. მეროსლავსკის შესახებ „Кавказ“-ი საუბრობს კჟივოსონის ტყეში მიმდინარე მოვლენების აღწერისას. საერთოდ, ძნელია დაეყრდნო მეროსლავსკის შესახებ „Кавказ“-ისეული ინფორმაციების რეალობაში, რადგან გაზეთის ნიუსები იმპერიის სახელისუფლებო პრესის მასალების ანარეკლს წარმოადგენდა. შესაბამისად, აჯანყების ხელმძღვანელი, როგორც ყველა ინსურგენტები კნინობით კონტექსტში არიან ნახსენები.

გამოყენებული ლიტერატურა:

„Кавказ“. (1863, №8, 27.01). Тифлис.

„Кавказ“. (1863, №17, 28.02). Тифлис.

„Кавказ“. (1863, №18, 03.03). Тифлис.

„Кавказ“. (1863, №19, 07.03). Тифлис.

„Кавказ“. (1863, №20, 10.03). Тифлис.

„Кавказ“. (1863, №21, 14.03). Тифлис.

„Кавказ“. (1901, №1, 01.01). Тифлис.

Garlicki, A. (1998). *Historia 1815–1939, Polska i świat.* Warszawa.

Surguladze, K. (2023). The January uprising and Georgian society. *History, Archeology, Ethnology, #IX*, p. 111-120.

Zbiorowa, P. (1994). *Kronika powstań polskich 1794–1944. Editor Marian B. Michalik. Warszawa* .

Айрапетов, О. (2013). Царство Польское в политике Империи в 1863–1864 гг. *Русский Сборник: исследования по истории России, #XV*, с. 7-138.

Гронский, А. (2023). Взгляды М.Н. Каткова на «Польский вопрос» и их актуальность в начале XXI века. *Польское восстание 1863-1864 годов в общественно-политической и конфессиональной мысли славянских народов*, с. 45-62.

Иаковлев, А., Лихачева, Л. (2013). Польское освободительное восстание 1863 года и русская общественность: «за» и «против». *Вісник студентського наукового товариства ДонНУ імені Василя Стуса, #1*(5), с. 116-120.

Коско, Д. (2021). Александр II и польский вопрос накануне январского восстания 1863–1864 гг. *История повседневности, # 1 (17)*, с. 63-75.

Лейкина-Свирская, В. (1960). «Казанский заговор» 1863 г. *Сб. статей «Революционная ситуация в России в 1859—1861 гг.»*, с. 423-449.

Лучинский, И. (2019). Становление газеты «Кавказ» в середине XIX века: специфика публицистического дискурса. (В. В., Ed.) *Медиа в современном мире. Сборник материалов, #1*, с. 307-309.

Лучинский, Ю. Осташевский, А. Болтуц, О. (2021). Редакторский корпус газеты «Кавказ» в первое десятилетие XX века: Трансформация информационной политики. *Известия Южного федерального университета. Филологические науки, #25*, с. 194-206.

Машковцев, А. (2014). Польское восстание 1863–1864 гг. в освещении губернской прессы Волго-Уральского региона. *Вестник Вятского государственного гуманитарного университета, #7*, с. 25-30.

Старикова, Е. (2024). Состав участников Польского восстания 1863–1864 гг. глазами русских офицеров и чиновников. *Клио, #02(206)*, с. 96-105.

Твардовская, В. (1978). *Идеология пореформенного самодержавия*: М.Н. Катков и его издания. Москва.

Тесля, А. (2011). «Польский вопрос» в передовицах М.Н. Каткова в «Московских ведомостях» в 1863 г. *Ученые заметки ТОГУ, 2*, с. 86-97.

კამკამიძე, თ. (2013). პოლონური მასალები გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე XIX ს-ის მეორე ნახევარში *(დისერტაცია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად). თბილისი.*

მალაზონია, დ. (2002-2003). კავკასიის საცენზურო კომიტეტის შემზღუდველი საქმიანობა. *„საისტორიო მოამბე“, #75-76, გვ. 89-92.*

სურგულაძე, კ. (2024). 1863-1864 წლების პოლონეთის აჯანყების ასახვა ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“. *კრ. „საისტორიო მეცნიერების სამსახურში“, გვ. 323-330.*

References

„Кавказ“. (1863, №8, 27.01). Kavkaz. Tiflis.
„Кавказ“. (1863, №17, 28.02). Kavkaz. Tiflis.
„Кавказ“. (1863, №18, 03.03). Kavkaz. Tiflis.
„Кавказ“. (1863, №19, 07.03). Kavkaz. Tiflis.
„Кавказ“. (1863, №20, 10.03). Kavkaz. Tiflis.
„Кавказ“. (1863, №21, 14.03). Kavkaz. Tiflis.
„Кавказ“. (1901, №1, 01.01). Kavkaz. Tiflis.

Garlicki, A. (1998). *Historia 1815–1939, Polska i świat [Poland and the world]*. Warszawa.

Surguladze, K. (2023). The January uprising and Georgian society. *History, Archeology, Ethnology,# IX*, p. 111-120.

Zbiorowa, P. (1994). *Kronika powstań polskich 1794–1944 [Chronicle of the Polish uprisings].* Warszawa .

Ajrapetov, O. (2013). Carstvo Pol'skoe v politike Imperii v 1863–1864 gg. *[The Kingdom of Poland in the politics of the Empire in 1863–1864.]. Russkij Sbornik: issledovanija po istorii Rocsii [Russian Collection: studies on the history of Russia], #XV*, p. 7-138.

Gronskij, A. (2023). Vzgljady M.N. Katkova na «Pol'skij vopros» i ih aktual'nost' v nachale XXI veka *[Views of M.N. Katkov on the "Polish Question" and their relevance at the beginning of the 21st century]. Pol'skoe vosstanie 1863-1864 godov v obshhestvenno-politicheskoj i konfessional'noj mysli slavjanskih narodov [The Polish uprising of 1863-1864 in the socio-political and confessional thought of the Slavic peoples]*, p. 45-62.

Iakovlev, A., Lihacheva, L. (2013). Pol'skoe osvoboditel'noe vosstanie 1863 goda i russkaja obshhestvennost': «za» i «protiv» *[The Polish liberation uprising of 1863 and the Russian public: pros and cons]. Visnik students'kogo naukovogo tovaristva DonNU imeni Vasilja Stusa [Bulletin of student scientific partnership of DonNU named after Vasyl Stus], #1*(5), p. 116-120.

Kosko, D. (2021). Aleksandr II i pol'skij vopros nakanune janvarskogo vosstanija 1863–1864 gg. *[Alexander II and the Polish question on the eve of the January uprising of 1863–1864], Istorija povsednevnosti [History of Everyday Life], #1 (17), p.* 63-75.

Lejkina-Svirskaja, V. (1960). «Kazanskij zagovor» 1863 g. *["Kazan Conspiracy" 1863], Sb. statej «Revoljucionnaja situacija v Rossii v 1859-1861 gg.» [Collection of articles "The revolutionary situation in Russia in 1859-1861"]*, p. 423-449.

Luchinskij, I. (2019). Stanovlenie gazety «Kavkaz» v seredine XIX veka: specifika publicisticheskogo diskursa *[The formation of the newspaper "Caucasus" in the middle of the 19th century: the specifics of journalistic discourse]. Media v sovremennom mire. Sbornik materialov [Media in the modern world. Collection of materials], #1*, p. 307-309.

Luchinskij, Ju. Ostashevskij, A. Boltuc, O. (2021). Redaktorskij korpus gazety «Kavkaz» v pervoe desjatiletie XX veka: Transformacija informacionnoj politiki *[The editorial staff of the newspaper "Caucasus" in the first decade of the 20th century: Transformation of information policy.]. Izvestija Juzhnogo federal'nogo universiteta. Filologicheskie nauki [News of the Southern Federal University. Philological sciences], #25*, p. 194-206.

Mashkovcev, A. (2014). Pol'skoe vosstanie 1863–1864 gg. v osveshhenii gubernskoj pressy Volgo-Ural'skogo regiona *[Polish uprising 1863–1864 in the coverage of the provincial press of the Volga-Ural region].*

Vestnik Vjatskogo gosudarstvennogo gumanitarnogo universiteta [Bulletin of Vyatka State Humanitarian University], #7, p. 25-30.

Starikova, E. (2024). Sostav uchastnikov Pol'skogo vosstanija 1863–1864 gg. glazami russkih oficerov i chinovnikov *[Composition of participants in the Polish uprising of 1863–1864 through the eyes of Russian officers and officials]*. *Клио [Klio], #02(206)*, p. 96-105.

Tvardovskaja, V. (1978). *Ideologija poreformennogo samoderzhavija*: M.N. Katkov i ego izdanija *[Ideology of post-reform autocracy: M.N. Katkov and his publications].* Moskva.

Teslja, A. (2011). «Pol'skij vopros» v peredovicah M.N. Katkova v «Moskovskih vedomostjah» v 1863 g. *[“The Polish Question” in the editorials of M.N. Katkov in Moskovskie Vedomosti in 1863]. Uchenye zametki TOGU [Uchenye zametki TSU], #2*, p. 86-97.

K'amk'amidze, t. (2013). *p'olonuri masalebi gazet „k'avk'azis“ purtslebze XIX s-is meore nakhevarshi (disert'atsia pilologiis dokt'oris ak'ademiuri khariskhis mosap'oveblad) [Polish materials on the pages of "Kavkazi" newspaper in the second half of the 19th century (dissertation for the academic degree of doctor of philology)]. Tbilisi.*

Malazonia, d. (2002-2003). k'avk'asiis satsenzuro k'omit'et'is shemzghudveli sakmianoba *[Restrictive activities of the Caucasus Censorship Committee]*. *''saist'orio moambe'' [historical storyteller], #75-76*, p. 89-92.

Surguladze, k'. (2024). 1863-1864 ts'lebis p'olonetis ajanqebis asakhva zhurnal „sakartvelos moambeshi“ *[Reflection of the Polish Uprising of 1863-1864 in the magazine "saqartvelos Moambe". k'r. „saist'orio metsnierebis samsakhurshi“ [Collection "In the service of historical science"]*, p. 323-330.